საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ეკოლოგია (Ecology)
აკადემიური განათლების საფეხური	ბაკალავრიატი (I საფეხური)
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი	აკადემიური, ძირითადი (Major)
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ეკოლოგიის ბაკალავრი (Bachelor of Ecology)
სწავლის ხანგრძლივობა	4 აკადემიური წელი (8 სემესტრი)
ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა	240 ECTS კრედიტი
პროგრამის ხელმძღვანელები	პროფესორი თამარ ნადირაძე ტელ:593338945 ელ.ფოსტა:tamar.nadiradze@tesau.edu.ge პროფესორი ელიზბარ ელიზბარაშვილი ტელ: 599735886 ელ-ფოსტა: elizbar.elizbarashvili@tesau.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები	პროგრამა უზრუნველყოფს კურსდამთავრებულმა მიიღოს ფართო საბაზო ცოდნა ბუნებრივი გარემოს და ცოცხალი სამყაროს ზოგადი კანონზომიერების შესახებ. პროგრამის მიზანია: სტუდენტებს მისცეს თანამედროვე ეკოლოგისათვის აუცილებელი საბაზო ცოდნა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. გააცნოს ბუნებრივ გარემოში მიმდინარე პროცესები. ეკოლოგიის ძირითადი მიმართულებები, მისი გლობალური და რეგიონალური პრობლემები და ამ სფეროში განხორციელებული მიღწევები და აღმოჩენები.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები

კრიტერიუმები	**1.ზოგადი კომპეტენციები**	**2. დარგობრივი კომპეტენციები**
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს სფეროს ფართო ცოდნა, რომელიც მოიცავს თეორიებისა და პრინციპების კრიტიკულ გააზრებას. შეუძლია სფეროს კომპლექსური საკითხების გაცნობიერება.	აქვს ფართო ცოდნა ეკოლოგიაში. იცის ეკოლოგიურ ფაქტორთა კლასიფიკაცია. იცის ეკოლოგიური ფაქტორების მოქმედების თავისებურებები ცალკეულ ორგანიზმებზე, სახეობრივ პოპულაციებზე და

		ეკოსისტემებზე. იცის ეკოსისტემების ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები; იცის,როგორ მოქმედებს ეკოსისტემის სტრუქტურაზე კლიმატი. იცის პოპულაციის არსებობის ძირითადი პრინციპები მათი სივრცობრივი განაწილება. ფლობს ქიმიას, ფიზიკას იმ დონეზე,რომელიც აუცილებელია ეკოლოგიური მოვლენების ქიმიური და ფიზიკური საფუძვლების გაცნობიერებისათვის; იცის ქიმიური დაბინძურებისაგან გარემოს დაცვის მეთოდები და ამ მიზნით გათვალისწინებული ღონისძიებები. ერკვევა ცოცხალ ორგანიზმებს და ბიოსფეროს შორის არსებულ კავშირებში;
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	შეუძლია სფეროსათვის დამახასიათებელი და, ასევე, ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად, კვლევითი ან	ფლობს საველე კვლევის ძირითად მეთოდებს; შეუძლია საველე პირობებში დამოუკიდებლად მუშაობა; შეუძლია მონაცემების მოპოვება, ჩაწერა და ანალიზი სათანადო ტექნიკის

	პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	გამოყენებით ლაბორატორიულ და/ან საველე პირობებში; შეუძლია კვლევის დაგეგმვა, განხორციელება და ჩატარებული სამუშაოს ანგარიშის დაწერა, რომელიც შეიძლება მოიცავდეს პირველად ან მეორად მონაცემებს, მოპოვებულს ინდივიდუალური ან ჯგუფური პროექტის ფარგლებში; შეუძლია რეგულარულად და დამოუკიდებლად იმუშაოს ლიტერატურასთან; შეუძლია მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენება სამეცნიერო კვლევებში; გამომუშავებული აქვს ეკოლოგიური ექსპერიმენტისა და ლაბორატორიული ანალიზის ჩატარების უნარ-ჩვევები. შეუძლია აწარმოოს გარემოს მდგომარეობაზე მონიტორინგი და კონტროლი;
დასკვნის		შეუძლია ცოცხალ ორგანიზმთა ტაქსონომიური

უნარი	სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვება და განმარტება, ასევე, განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზი სტანდარტული და ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება.	რკვევა, მათი მრავალფეროვნების მიზეზების დადგენა და სათანადო დასკვნების გაკეთება; თანამედროვე ეკოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენებით შეუძლია მონაცემების შეგროვება და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით სათანადო დასაბუთებული დასკვნების გამოტანა; აქვს სამეცნიერო პრობლემების გაცნობიერების, გაანალიზების და მისი გადაჭრისათვის ეკოლოგიური კვლევის მეთოდების გამოყენების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.	შეუძლია ეკოლოგიის დარგში საკუთარი მოსაზრებებისა და შეხედულებების მკაფიოდ ჩამოყალიბება და გადაცემა; ასევე, სხვათა პოზიციების გაგება და შესატყვისად რეაგირება; შეუძლია ეკოლოგიის დარგში შესრულებული სამუშაოების შესახებ წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე; შეუძლია თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების

		შემოქმედებითად გამოყენება.
სწავლის უნარი	შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.	აქვს საკუთარი სწავლის პროცესის დამოუკიდებლად მართვის, შემდგომი სწავლის საჭიროების განსაზღვრისა და დამოუკიდებლად მაღალი ხარისხით სწავლის გაგრძელების უნარი; შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა, დროის მართვა და საკუთარი მიღწევების დემონსტრირება სათანადო ფორმით; შეუძლია ეკოლოგიის დარგში სამეცნიერო კვლევითი პროექტის შემუშავება და მართვა; შეუძლია რეგულარულად და დამოუკიდებლად იმუშაოს ლიტერატურასთან.
ღირებულებები	ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.	ითვალისწინებს და პატივს სცემს პროფესიონალთა აზრს; აქვს პროფესიული პასუხისმგებლობა და იცავს სათანადო ეთიკურ ნორმებს; საველე ან ლაბორატორიულ პირობებში კვლევისას იცავს ეთიკურ პრინციპებს და უსაფრთხოების წესებს, როგორც დამოუკიდებლად, ისე ჯგუფში მუშაობისას; ესმის კვლევის გავლენა კვლევის ობიექტსა და გარემოზე; ზრუნავს ბიორესურსების დაცვისა და

	კონსერვაციისათვის.
დასაქმების სფერო	ეკოლოგიის ბაკალავრის კურსდამთავრებული შესაძლოა დასაქმდეს: • სამეცნიერო-კვლევით და სამეცნიერო-საწარმოო ორგანიზაციებში; • გარემოსდაცვის, ბუნების დაცვისა და ბუნებათსარგებლობის ორგანიზაციებში; • ჰიდრომეტეოროლოგიურ სამსახურებში; • ზოოპარკებში; • ბოტანიკურ ბაღებში; • სატყეო მეურნეობებში, ეროვნულ პარკებში და ნაკრძალებში; • ყველა იმ სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებში, რომელიც ზოგადი კვალიფიკაციის ეკოლოგს საჭიროებს;
სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა	იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტის შეფასების სისტემა რეგულირდება საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესისა და სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ დებულებით. პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები ფასდება 100 ქულიანი სისტემით. შეფასების სისტემა უშვებს: ხუთი სახის დადებით შეფასებას: 1) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი; 2) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%; 3) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%; 4) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%; 5) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ორი სახის უარყოფით შეფასებას:

1) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

2) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასება მოხდება შემდეგი კომპონენტების გათვალისწინებით: შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. ამ კომპონენტების ქულათა ჯამი შეადგენს 100 ქულას. მათ შორის:

ა) შუალედური შეფასებები – მაქსიმუმ 60 ქულა;

ბ) დასკვნითი გამოცდა – მაქსიმუმ 40 ქულა.

შუალედური შეფასებები განისაზღვრება შემდეგი სამი აუცილებელი კომპონენტის დაცვით:

1)შუალედური შეფასების პირველი კომპონენტი შუალედური წერა - მაქსიმუმ 30 ქულა (2 x 15 ქულა), ჩატარდება მერვე და მეცამეტე კვირის ბოლოს.

2) შუალედური შეფასების მეორე კომპონენტი ზეპირი გამოკითხვა- მაქსიმუმ 20 ქულა (4 x 5 ქულა),ჩატარდება ოთხჯერ. ორი გამოკითხვა ჩატარდება პირველი რვა კვირის განმავლობაში, შემდეგი ორი კი მეორე შვიდი კვირის განმავლობაში.

3) შუალედური შეფასების მესამე კომპონენტი პრეზენტაცია-მაქსიმუმ 10 ქულა.სტუდენტი ირჩევს საპრეზენტაციო თემას და წარმოადგენს ნებისმიერ დროს, პრეზენტაცია ფასდება შემდეგი ქულებით:

- თემის გასაგებად წარმოდგენა- მაქსიმუმ 4 ქულა
- დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემა- მაქსიმუმ 4 ქულა
- ვიზუალური საშუალებების გამოყენება- მაქსიმუმ 2 ქულა

- დასკვნითი გამოცდა ჩატარდება წერითი ან ზეპირი ფორმით.

შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით.

შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები ტარდება უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის მეშვეობით.

პრაქტიკაში სტუდენტის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით. დეტალური ინფორმაცია პრაქტიკის შეფასების შესახებ გაწერილია სილაბუსში.

საბაკალავრო ნაშრომის შეფასება ხდება 100 ქულიანი სისტემით, ზემოთ მოყვანილი შეფასების სისტემის მეშვეობით და რეგულირდება საბაკალავრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულებით (იხ. დებულება სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემის შესახებ თესაუ-ს ვებ-გვერდზე).